№ 37

ხუთშაბათი, 17 თებერვალი 1894

გაზეთი ღირს:

თვე		მან.	კ.	თვე		მან.	კ.
12	. . .	10	—	6	. . .	6	—
11	. . .	9	50	5	. . .	5	50
10	. . .	8	75	4	. . .	4	75
9	. . .	8	—	3	. . .	3	50
8	. . .	7	25	2	. . .	2	75
7	. . .	6	50	1	. . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

47

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 37

ხუთშაბათი, 17 თებერვალი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

კნეინა ბარბარე ლუარსაბის ასული ჭავჭავაძისა შვილებითურთ და თავადი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თავადის **დავით დიმიტრის ძის ჭავჭავაძისას** ამა 1894 წლის 16 თებერვალს.

პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება 16 და 17 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ.

მიცვალებულის გვამს ანდერძის ასაგებად სახლიდგან, რომელიც ჭავჭავაძის ქუჩაზედ იმყოფება, № 7, მიასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში პარასკევს, 18 თებერვალს, დილის 9 საათზედ, ხოლო დაჰკრძალავენ ყვარელში, განსვენებულის მამულში.

„ივერია“

გამოდის 1894 წელს

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ამ წლის პირველ მარტიდამ ტფილისის ტამოჟნის მოხელეთათვის არსდება

სახელმწიფო დამზოგველ-შემნახველი კასსა,

რომელიც მიიღებს შესანახავად ფულს ხუთი შაურიდამ ხუთ თუმნამდე თითოეულ მიტანაზედ. ეს კასსა მისცემს სარგებელს წელიწადში მანეთზე ოთხ კაპეიკს; აგრეთვე ფულის მიმბარებელს ყოველ დროს შეეძლება გამოიტანოს თავისი ფული ხვედრის სარგებლით. კასსა ღია იქმნება სამშაბათობითა და შაბათობით საღამოს 4—7 საათამდე და კვირა დღეობით 9—11 საათამდე.

(3—1)

ზედამხედველი კომიტეტი მიხეილის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა, თანახმად § 80 ბანკის წესდებისა, ამით აუწყებს ბ-ნ ბანკის წევრთა, რომ წარედგინება განსახილველად ჩვეულებრივ საზოგადო კრებას, რომელიც დანიშნულია 20 მარტს მიმდინარე 1894 წ. დილის 11 საათზედ, შემდეგი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკისა 1893 წლის ანგარიშისა.

2) განხილვა და დმტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარის 1894 წლისა.

3.) გან.წილება ბანკის მოგებისა, რომელიც დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის მიწად-მფლობელთა საზოგადო საჭიროებისათვის.

4.) შეცვლა ბანკის წესდების 81,82 და 83 მუხლებისა შესახებ მონაწილეობის მიღებისა და წარმომადგენლობისა საზოგადო კრებაზედ.

5.) აღრჩევა გამგეობის თავმჯდომარისა, წევრისა, მათის კანდიდატებისა და კომიტეტის წევრთა.

ტფილისი, 17 თებერვალს

—

რუსეთის ხილეულობისა და ბოსტნეულობის საზოგადოება, უმაღლესის ნება-დართვით, ამა 1894 წლის შემოდგომაზედ ს.-პეტერბურგში ჰმართავს საერთაშორისო გამოფენას ხილეულობისა და ბოსტნეულობისას. ჩვენ უკვე მოგვივიდა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამიერ-კავკასიის რწმუნებულისაგან წესდება ამ გამოფენისა და პროგრამმა იმის ცნობების შესაკრებად, თუ რა მდგომარეობაშია ამიერ-კავკასიაში ხილეულობისა და ბოსტნეულობის წარმოება.

შემდეგ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს ამ წესდებასა და პროგრამას, ეხლა-კი ვიტყვით მხოლოდ, რა მნიშვნელობა აქვს ასეთს საერთაშორისო გამოფენას საზოგადოდ და კერძოდ საქართველოსათვის, რომელიც სამართლიანად ითვლება სამეურნეო ქვეყნად.

თვით სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული გვაუწყებს თავის წერილში, რომ გამოფენა იმართება იმ აზრით, რათა გაცნობილ და გათვალისწინებულ იქმნას აწინდელი მდგომარეობა რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ხილეულობისა, ვენახების მოშენებისა და წარმოებისაო. რასაკვირველია, მარტო ეს აზრიც გამოფენისა საკმარისია, რომ იგი დიდად სასიკეთოდ ჩაითვალოს და იმის გამართვას ყველა სიამოვნებით მიეგებოს და ყოველ გვარი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს. უმთავრესად კიდევ ის მნიშვნელობა აქვს გამოფენას, რომ იგი, მწარმოებელთა გაჯიბრების გარდა, რის შედეგიც, რაღა თქმა უნდა, წარმოების განკარგებაა, იზიდავს აგრეთვე მხმარებელთაც, მწარმოებელსა და მხმარებელს აახლოვებს ერთმანეთთან, ნაწარმოებს ახალს ბაზარს უჩენს და ცოდნას ავრცელებს სოფლის მეურნეთა შორის.

ჩვენი ქვეყანა იმ თავითვე მიწის მოსავლის ქვეყანად ითვლებოდა. ამიტომ, რასაკვირველია, ყოველი ღონე და საშუალება უნდავიხმაროთ, რომ არ ჩამოვრჩეთ სხვებს და ჩვენი ნაწარმოებიც გავიტანოთ საერთაშორისო გამოფენაზედ, ჩვენის ბუნების სიმდიდრე სხვას დავანახვოთ და სხვისი ხელოვნება ნაწარმოების განკარგებისა ვისწავლოთ და გამოვიყენოთ.

ამ მხრით ფრიად საყურადღებოა სურვილი პეტერბურგის ხილეულობისა და ბოსტნეულობის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარისა, დიდის მთავარის ნიკოლოზ მიხეილის ძისა, რომელსაც საკეთილოდ დაუნახავს, რომ ამიერ-კავკასიის სამეურნეო ნაწარმოები მომავალს გამოფენაზედ, რაც შეიძლება, სავსებით იყოს წარდგენილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სურვილს, გამოსათქმელად საქართველოს მეურნეობის წარმატების სიკეთით აღძრულს, თანაუგრძნობენ ჩვენნი თავად-აზნაურნი და სხვა მეურნენი და ყოველის ღონით ეცდებიან მომავალს გამოფენაზედ თავისის ნაწარმოების გატანას.

უმახლობელესი საგანი გამოფენისა ის არის, რომ: ა, ნიმუშები იქმნას წარდგენილი სამრეწველო ხილეულობისა, ბოსტნეულობისა და სხვა სამეურნეო ნაწარმოებთა აწინდელის მდგომარეობისა; ბ, გააცნოს საზოგადოება სხვა-და-სხვა გვარს ხილს, რომელიც მოჰყავთ რუსეთსა და საზღვარ-გარედ; გ, შეასწავლოს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს სხვა-და-სხვა ხმელი ხილი; დ, გაუთვალისწინოს აწინდელი მდგომარეობა ვენახების მოვლისა და ღვინის კეთებისა, უპირატესად რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში; ე, გააცნოს ტეხნიკის მხრივ როგორც დამჳნა და მოშენება ხილისა და ბოსტნეულობისა, ისე იმათგან სხვა-და-სხვა ნაწარმოების კეთება.

გამოფენა გაიმართება ს.-პეტერბურგს, დაიწყება 1894 წლის 10—22 სექტემბერს და გასტანს 31 ოქტომბ.—12 ნოემბრამდე. გამოფენაში შემდეგი განყოფილებანი იქმნებიან: 1, ნედლი ხილისა; 2 ბოსტნეულობისა; 3, ხილეულობისა და მწვანილეულობისა გამხმარისა, კონსერვად და სხვა გვარად გაკეთებულისა; 4, ღვინისა; 5, სვიისა და სამკურნალო მცენარეულობათა: 6, თესლეულობისა; 7, სამეურნეო იარაღისა; 8, სამეურნეო ლიტერატურისა, მეცნიერებისა, კოლლექციათა და სხ.; 9, ხეხილისა და ბუჩქისა.

ვისაც გამოფენაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ესე თვისი სურვილი უნდა განუცხადოს ამა წლის 1—13 მაისამდე საგამოფე-

---

ფელეტონი

—

მემკვიდრეობა

ანუ

შთამომავლობით თან დაყოლილი თვისებანი

დედა ნახე, მამა ნახე,
შვილი ისე გამონახე.
(ქართული ანდაზა)

მემკვიდრეობა ბიოლოგიური კანონია, რომლის ძალითაც ყოველი სულიერი არსება სცდილობს გარდასცეს თვისი უმთავრესი თვისებანი თავის შთამომავალს. ამ კანონით არის მხოლოდ შესაძლო განგრძობა და განვითარება სულიერ არსებათა ცხოვრებისა. ეს კანონი მთავარი და სახელმძღვანელო აზრია როგორც მედიცინაში, ისე ბუნების მეტყველებაში. მართლაც, რითი უნდა ავხსნათ თუ არ მემკვიდრეობით შემდეგი საოცარი გარემოება: მამა იყო ავად რომელისამე სენით და იმსხვერპლა კიდეც; შვილსაც იმავე ხანში იგივე სენი გამოაჩნდა და თან გადაიტანა; არც შვილიშვილი გადურჩა პაპის სენს, ასე რომ ეს სენი გარდაიქცა საგვარეულო სენად, საგვარეულო ავადმყოფობად, იმიტომ რომ უფროს ერთი წევრი ამ გვარში შეიქმნა ამ სენის მსხვერპლი; და აი რა უფრო საყურადღებოა: თითქმის ერთსა და იმავე ხანში უჩნდებათ ეს სენი.

მამა მოკვდა ჭლექით; შვილი 16 წლამდე არ ავადმყოფობდა; შემდეგ რამდენიც ხანი გავიდა, იმდენი უფრო სუსტდებოდა; ბოლოს გამოაჩნდა ჭლექის ნიშნები და, რა მიაღწია იმ ხანს, რა ხანშიც მამა გარდაიცვალა, შვილიც შეიქმნა მსხვერპლი ამ საშინელის სენისა. ესევე განმეორდება ხოლმე ხშირად დანარჩენ შთამომავლობაში. მედიცინაში დამტკიცებულია რომ იმ მამას, რომელიც ერთს დროს ავის სენით (სიფილისით) იყო ავად, თუმცა დროზედ ეწამლოს, შვილები მაინც სუსტი და ავადმყოფები ეყოლება. ხოლო თუ ავადმყოფობის დროს ეყოლა შვილი, მისი ავადმყოფობა იმოდენს ზედ-გავლენას იქონიებს, რომ ბავშვი მკვდარი დაიბადება. საზოგადოდ, ეს ავადმყოფობა ძლიერ ხშირად შვილზედ გადადის მემკვიდრეობით და მამის ცოდვა შვილსა სტანჯავს სამუდამოდ.

წელს პროფ. ზახარინის კლინიკაში შემდეგი საყურადღებო შემთხვევა შეჰნიშნეს: ერთს ახალგაზდა ქალს—20 წლისას—დაუწყო ცხვირმა ტკივილი; პირველში ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს და ბოლოს ცხვირი ერთიანად მოჰვარდა. გულ-გახეთქილმა დედ-მამამ მოიყვანე ავადმყოფი კლინიკაში და აქ აღმოჩნდა, რომ მამას ახალგაზდობაში ავი ავადმყოფობა ჰქონოდა და, მაშასადამე, შვილს მემკვიდრეობით თან დაჰყოლოდა ეს სენი. მამის ცოდვამ შვილს უწიაო, რომ იტყვიან ჩვენში, სწორედ ისე იყო ამ შემთხვევაშიაც! არა მხოლოდ ორ-სამ ავადმყოფობას, არამედ ყოველს უმთავრეს სენს სათავე შესაძლოა, სხვათა შორის, მემკვიდრეობაში ჰქონდეს.

მეცხრამეტე საუკუნე, სთქვა ერთმა ევროპიელმა მეცნერმა, არის ნერვების სისუსტის დროო. და მართლაც, არა დროს არ ყოფილა ამდენი სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა ნერვებისა, როგორც ამ ჩვენს უკანასკნელ დროს. რითი უნდა აიხსნას, სხვათა შორის, ამ ავადმყოფობის ასეთი გავრცელება, თუ არ მემკვიდრეობით? ნერვებით სუსტ დედ-მამას ნერვებითვე სუსტი შვილები ეყოლებათ. ამ საგნის შესახებ ინგლისელი მეცნიერი დარვინი ერთ-ერთს თავის თხზულებაში ამბობს შემდეგს: საკვირველიაო ზოგიერთი ჩვენი საქციელი და მოქმედება: როდესაც კაცი ჰყიდულობს ცხენს, ძროხას, ან რომელსამე პირუტყვს, დაწვრილებით გამოიკითხავს, რა მოდგმისა და რა ჯიშისაა ის პირუტყვი, რომლის ყიდვა და მოშენება სურს, ხოლო როდესაც ცოლის შერთვას დააპირებს, თითქმის არასოდეს არ გამოუდგება ამ გვარ გამოწვლილვასა და გამოკითხვას. გარნა რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გამოკითხვას, დავუმატებთ ჩვენის მხრივ, ამ შემთხვევაში, მკითხველი დარწმუნდებოდა ქვემორე მოხსენებულის გარემოებით. რიბოს, ფრანგების მეცნიერს, მემკვიდრეობის არსებობის დასამტკიცებლად შემდეგი მაგალითი მოჰყავს თავის თხზულებაში:

ერთ სულით ავადმყოფთა სამკურნალოში რამდენისამე ხნის განმავლობაში მიიყვანეს თერთმეტი სულით ავადმყოფი ერთისა და იმავე გვარისა. ლომბროზოს, იტალიელთა მეცნიერს, უფრო ცხადი საბუთი მოჰყავს: მაქს იუკეს, რომელიც ლოთობით მოკვდა, მაშასადამე დაუძლურებულს, როგორც სულით, აგრეთვე ხორცით, 75 წლის განმავლობაში ოჯახი ძლიერ გაუმრავლდა; მის წევრთა შორის 200 ქურდები გამოვიდნენ, 280—მუნჯი, ბრმა, ყრუ, ლენჩები იყვნენ, 90 როსკიპები, 300 ბავშვი იმდენად სუსტი დაიბადა, რომ პირველ წლებშივე დაიხოცნენ, ერთის სიტყვით ეს ოჯახი რამდენიმე მილიონი დაუჯდა სახელმწიფოს.

იმავე თხზულებაში ვკითხულობთ: პირველ რევოლიუციის დროს ერთი მესაათე ჰკუაზედ შეიშალა, იმდენად იმოქმედა რევოლიუციის საშინელებამ; შემდეგ მორჩა და რამდენსამე ხანს კარგად ჰგრძნობდა თავს; არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო კომისიის ბიუროს. გამოსაფენ საგნების მიღება დაიწყება 15—27 აგვისტოდგან და დამთავრდება 5—17 სექტემბერს. ხილეულობისა და მწვანილეულობის წარდგენა შეიძლება 8—20 სექტემბრამდე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენნი მეურნენი ისარგებლებენ ამ გამოფენით, წარმოიდგენენ ყოველსავე სარგებლობასა და სიკეთეს ამა გამოფენისას და არ მოინდომებენ, რომ საქართველოს ბაღისა, ბოსტანისა და ვენახის ნაწარმოები მოაკლონ რუსეთის საერთაშორისო გამოფენაზედ გატანას.

ფარნაოზი

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მოგვივიდა პირველი და მეორე ნომერი სამეურნეო ჟურნალის „მეურნე“-სი, რომლის ბეჭდვა კარგა ხანს იყო შარშან შეჩერებული, ახლა როგორც სარედაქციო განცხადებიდანა სჩანს, ამ ჟურნალის რედაქციას ზოგიერთი ღონისძიება მიუღია ჟურნალის უკეთესად წარმოებისათვის: გაუმართავს თავისი განყოფილება ქუთაისშიაც, აგრედვე კანტორის განყოფილებაც გადაუტანია ქუთაისში, გაუჩენია აგენტები ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა დაბა ქალაქში და მოუწვევია ახალნი თანამშრომელნი, რომელთა დახმარებით რედაქციას იმედი აქვს, რომ ჟურნალი ამას იქით თავის მოვალეობას პირ-ნათლად შეასრულებსო. ამ პირველ ორს ნომერს ეტყობა კიდეც ახალ ცვლილების ბეჭედი; შიგ მოთავსებულია საკმაოდ საინტერესო წერილები და შენიშვნები. ფრიად სასიამოვნო იქნება, თუ ჟურნალი არ შეუშინდება თავის ეკლიანს გზას და მხნედ ეცდება სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებასა და მოფენას ჩვენს ხალხში.

აგერ ერთი კვირაა, რაც ამიერ-კავკასიის მხარე მოჭრილი იყო რუსეთთან, რადგანაც კავკავის გზაზედ საშინელი ზვავები ჩამოწვა რამდენსამე ალაგას და ძლიერი ბუქი იდგა. დღე რომ გაასუფთავებდნენ გზებს, ღამე ისევ თოვლით ივსებოდა და ამ გზაზედ მისვლა-მოსვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. გუშინ ტფილისში დეპეშები მოვიდა, რომ ბუქი აღარ არის, ქარი დაწყნარდა, თუმცა კავკასიის ქედის იმიერ-მხარეს ჯერ კიდევ თოვსო. პატარა ზვავები გაასუფთავეს, მხოლოდ ხუთ ალაგას ზედ ზვავებზედ ბილიკს აკეთებენ ფეხით გადასასვლელად. გუშინ დილით ინჟენერებმა ყაზახები გაჰგზავნეს სოფლებში გლეხების სამუშაოდ გამოსაწვევად. რუსეთის ფოსტა გუშინ ხელით გადმოიტანეს ზვავებზედ და იმედია, დღეს დილით შავი ზღვაც დაწყნარდა და ისეთი ფრთონვა აღარ არის. ამიტომ გემებს ეხლა შიში აღარ აქვთ ნოვოროსიისკში შესვლისა. რუსეთიდგან მომავალ ფოსტის ნაწილი ნოვოროსიისკზე გაუგზავნიათ და ეს ფოსტა გუშინ ბათუმში მოვიდა, საიდგანაც მას დღეს მოელიან ტფილისში რკინის გზით. ტფილისიდგან ხუთი დღის ფოსტა რუსეთში გასაგზავნი ბათუმზე გაჰგზავნეს, მხოლოდ გუშინ პირველი ფოსტა გაემგზავრა ტფილისიდგან კავკავის გზით. ზვავებმა წაახდინეს დეპეშაც და ტფილისიდგან დეპეშებს ბაქო-ასტრახანზე ჰგზავნიდნენ, რის გამოც დეპეშების გადაცემას პეტერბურგში ორ დღემდე უნდებოდნენ ოთხი საათის მაგივრად. გუშინ ტელეგრაფიც შეაკეთეს და ეხლა დეპეშები აღარ გვიანდება ისე.

⁂ დღეს, ამ თვის 17-ს, ტფილისის „სობრანიაში“ სცენის საუკეთესო მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შპაჟინსკის დრამა „Водоворотъ“. ამ წარმოდგენიდგან შემოსული ფული დანიშნულია კავკასიის ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ.

⁂ ახალციხის მაზრის საზღვართანა და შორაპნის მაზრაში აღმოუჩენიათ ტყვიისა და ვერცხლის მადნები. ვერცხლის და ტყვიის მადნები სახელმწიფო მიწაშია და ამიტომ რამდენმამე კაცმა თხოვნა შეიტანა სამთო სამმართველოში, ნება მოგვეცით ამ მადნების შემუშავებისაო.

⁂ 11 ამ თვისას მიხეილის სამკურნალოში დაიცალა ერთის ორდინატორის ადგილი. ექიმი ბარტოლდი, ორდინატორი ამ სამკურნალოსი, გადაიყვანეს ყარსის ქალაქის ექიმად. ხოლო ბარტოლდის ადგილას დაჰნიშნეს ახალგაზდა ექიმი, ბ-ნი ივანე სპირიდონის-ძე ელიაშვილი, რომელმაც შარშან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, სადაც კავკასიის სტიპენდიანტად იყო. აქ მყოფ ავადმყოფებისაგან არა ერთხელ გაგვიგონია ჩივილი: „ვერ წარმოიდგენთ, რა დღეშიაც ჩვენა ვართ, ქართული ენა ექიმებს არ ესმით, და ჩვენ კიდევ მათი არა გაგვეგება-რაო!..“

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილების ავტორს «მოგზაურობა სამეურნეო წარმოების შესასწავლად ქუთაისის გუბერნიაში» თ-ს გიორგი ჩიჩუას, როგორც გვატყობინებენ პეტერბურგიდამ, დაუბრუნეს ყველა ის უფლებანი, რომელიც სასამართლოს გარდაწყვეტილებით ჰქონდა ჩამორთმეული.

⁂ ბათუმი: 8 თებერვალს აქ თავი მოიკლა რევოლვერით თავის ოთახში ახალგაზდა კონდუქტორმა მიხეილ შარაშიძემ. მიზეზი თავის მოკვლისა ნამდვილად არ იციან, მხოლოდ წერილი იპოვნეს და შიგ ეწერა, ჩემი სიკვდილი არავის დააბრალოთ, ისეთს განწირულს მდგომარეობაში ვიყავ, რომ ჩემს ადგილს სხვა უფრო ადრე მოუღებდა თავის თავს ბოლოსაო. მიცვალებული კარგი და პატიოსანი ახალგაზდა იყო, სწავლის შეძენისა და წიგნის კითხვის დიდი მოყვარული. დავასაფლავეთ 12 თებერვალს ბევრ აქაურ ქართველთა თანადასწრებით.

⁂ გურია: ამ უკანასკნელის ხუთის დღის განმავლობაში თითქმის შეუწყვეტელად მოდიოდა თოვლი. ალამზე მეტი და ზოგან ორი არშინის სიმაღლე თოვლი დასდო. საქონლის საკვების სიძვირე ჩამოვარდა. სურდო, ხველა, ყელ-ჭირვება, ფილტვების ანთება და უნფლუენცა ხშირია და ბევრ ზარალსაც იძლევა.

⁂ სოფ. ტელეფა (შორაპნის მაზრა): ამას წინად თქვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ვითომ აქაური სკოლა დირექციას გარდაეცემაო, მაგრამ ეს შეცდომაა. სკოლა, აშენებული აქაურის მღვდლის მეცადინეობით, სასულიერო მთავრობას გარდაეცემა.

⁂ აფხაზეთი: აგერ სწორი გახდა, რაც აქეთ თოვლი მოდის და მოდის. ამბობენ, ასეთი ზამთარი აქ კაცს არ ახსოვსო.

⁂ იქიდამვე: აგერ რამდენიმე წელიწადი განმავლობს, რაც ერთი ნაციმბირალი ყაჩაღია გავარდნილი, გვარად აიბა, რამოდენიმე კაცი უკვე მოუკლავს და კიდევ ბევრს მოჰკლავს დაჭერა-კი ვერ მოუხერხეს. მართლაც, როგორც ამბობენ, ძნელი დასაჭერიც არის თურმე. არ არის ისეთი ოჯახი, საცა ორი ღამე გაეთიოს ერთად; არც ისეთი ოჯახია, საცა არ ყოფილიყოს. აი როგორ იქცევა თურმე: შუა ღამისას მივა რომელსამე ოჯახში, შევა სახლში, შინაურებს ჩაჰკეტავს და გარეთ კაცს არ გაუშვებს დილამდე. დილით ადგება თურმე, სჭამს საჭმელს და ეტყვის მასპინძელს, არავის უთხრა შუადღემდე, თორემ თუ შევიტყე, ამოგწყვეტავთო. ადგება და გადიკარგება. მეორე ღამეს მოულოდნელად მეორე სოფელში მივა, იქაც ისე მოიქცევა, როგორც პირველ ოჯახში. ამ გვარად არავინ არ იცის სად აქვს აიბას ბინა.

⁂ სოხუმი: აქეთ დიდ ძალი თამბაქო მოვიდა, მაგრამ მცირე კანკურენციის გამო ძალიან ნაკლები ფასი აქვსო. რუსეთის ვაჭარმა ბოლდანოვმა და კომ.-ამ სოხუმში ააგო ერთი დიდი ორ სართულიანი ქვის შენობა თამბაქოს შესანახავად. ამ სახლში მოთავსდება ასი ათასი ფუთზე მეტი თამბაქო, რომელსაც პეტერბურგში ჰგზავნის. ეს არის ერთად ერთი მყიდველი თამბაქოსი. მართალია, სხვა ფაბრიკანტებიც მოდიან ხოლმე, მაგრამ ისინი ბევრს არ ჰყიდულობენო თუთუნს.

⁂ სოფ. ქედა (ქვედა აჭარა) იანვარმა კარგად ჩაიარა, თუმცა ცოტა ოდენი თოვლი-კი მოვიდა, მაგრამ მალე აიღო. ამ უკანასკნელ ხანებში-კი დაიწყო სიცივეები. ავადმყოფობა ჩვენში ძალიან გავრცელებულია, უმეტესად სურდო ხველა და ინფლუენცია, რომელმაც უმეტეს ნაწილად ბავშები იმსხვერპლა.

ამბობენ ზედა აჭარაშიაც მძვინვარებს თურმე ეს სენი.

ჩვენებურები ამ ჟამად ძალიან შეწუხებულები არიან იმის გამო, რომ მთავრობის განკარგულებით ყველას ჩამოართვეს ერთად ერთი მათთვის ძვირფასი განძი მამა-პაპეული თოფები და ბერდანკები.

ეს მით უფრო სამწუხაროა მათთვის, რომ ამ იარაღის შესაძენად უკანასკნელი თავიანთი შეძლება არ დაუშურავთ და თვითონ მოგეხსენებათ სოფლის ღარიბ მკვიდრთათვის ადვილი არ არის, რომ ორმოც-სამოც მანეთად ღირებული ნივთი დაეკარგოთ.

⁂ იქიდამვე: ამას წინად ჩვენში ვიღაც ქართველი მასწავლებელი ჩამოვიდა. აქაურებს დიდათ სასიამოვნოდ დარჩათ და რაც შეეძლოთ პატივი სცეს, მით უმეტეს იმათ ვინც ცოტაოდენი ქართული წერა-კითხვა იცოდა. მაგრამ, ამ ვაჟბატონმა ეს პატივისცემა ვერ იშვნია და დაუწყო მაჰმადის რჯულს უკადრისად ხსენება.

ხალხს ასეთი საქციელი სტუმრისა მეტად ეწყინა და ყველამ ერთხმად თავი დაანებეს ქართულ წერა-კითხვის სწავლას, რომელსაც დღემდინ დიდის ხალისით სწავლობდნენ. ასე ამბობენ ჩვენი რჯულის წინააღმდეგი სწავლა-განათლება არ გვინდაო.

სასურველია, რომ ასეთი ყმაწვილები აქაურ ხალხის რჯულსა და ზნე-ჩვეულებას უფრო პატივისცემით იხსენიებდნენ.

◆

გასულა დიდი ხანი, რომ ხელ მეორედ შეიშალა ჭკუაზედ და თავი მოიწამლა ავადმყოფობაში; მისი ქალიშვილი სრულებით შეიშალა ჭკუაზედ; ერთმა ვაჟმა ხანჯლით გამოიფაშვა თავი, მეორე ვაჟი ლოთობით მოკვდა, მესამემ საჭმელი შეიძულა და სრულებით არ იკარებდა და ბოლოს ისე დასუსტდა, რომ მოკვდა. მხოლოდ ერთი და იყო ჯან-საღი; მაგრამ სამაგიეროდ მისი შვილები ყველანი ავადმყოფები გამოვიდნენ, მათ შორის ერთი იყო გიჟი და ბნედიანი.

ყველა ეს მაგალითები ცხადად გვიმტკიცებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვირეობის ძალას და რა ნაირ გადადის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა შთამომავლობაში ამ მემკვიდრეობით. მაშასადამე, ყოველი პატიოსანი და შეგნებული ადამიანი მამაკაცისა და დედაკაცის შეუღლებას უნდა უყურებდეს, როგორც მაღალსა და წმინდა საქმეს და არა, როგორც ვნებათა ღელვისა და გულის თქმათა დაკმაყოფილებას.

უფრო უდიდესი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას ბიოლოგიაში. სულიერთა არსებათა ცხოვრებაში საზოგადოდ. ჩვენ, რასაკვირველია, ამ საგანთ მხოლოდ გაკვრით შევეხებით, რადგან არც ადგილი და არც დრო ნებას არ გვაძლევს, ვრცლად გამოვიკვლიოთ ყოველი მისი კერძოობანი. მართლაც, მკითხველმა იცის, რომ კაცობრიობა ყოველთვის განვითარების ერთს დონეზედ არა მდგარა; რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო მეტს წარმატებაში შედიოდა კაცობრიობა და ბოლოს მიაღწია იმ დონეს, რა დონეზედაც იგი ახლა სდგას. რა იყო კაცობრიობა ათასის, ასი-ათასის წლის წინად და რა იქმნება იგი ამდენისავე ხნის შემდეგ!? ბუნების მეტყველების ისტორია შემდეგ სურათს გვიხატავს კაცობრიობის და საზოგადოდ სულიერ არსებათა წარმატების და განვითარებისას:

მთლად სულიერი არსებანი. მათ შორის, ადამიანიც, ერთი განუწყვეტელი ჯაჭვია, ან უკეთ რომ ვსთქვათ ერთი კიბეა, რომლის საფეხურებს სხვა-და-სხვა სულიერი არსებანი წარმოადგენენ; რამდენადაც სულიერი არსება გონებრივ და განვითარებით მაღლა სდგას, იმდენად უფრო მაღალი საფეხური უჭირავს ამ კიბეში; მაგალითად, პირველ საფეხურს წარმოადგენს ამება, რომლის სულიერი არსებობა გამოიხატვის მხოლოდ თითქმის შეუმჩნეველ მოძრაობით და გამრავლებით, ხოლო უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენს სულიერ არსებათა მეფე—ადამიანი; და იქვე, ადამიანის საფეხურ ქვემოდ, სდგას მაიმუნი. მაშასადამე, რა ჰკუით წარმოუდგენელი და განუზომელი დრო უნდა გასულიყო, რომ ამება იმდენად განვითარებულიყო, მიეღო მრავალ-გვარი განვითარებული სახეები სხვა-და-სხვა სულიერ არსებათა, რომ ბოლოს წარმომდგარიყო ღვთაებრივი სახე, სახე ქმნილებათა გვირგვინისა—ადამიანისა! ყოველ სულიერ არსების სახე იძენდა სხვა-და-სხვა მრავალ ფეროვან თვისებას, შედიოდა განვითარებაში გონებით, ხორცითა და სულით, ასე რომ ბოლოს ერთის სახიდგან წარმოსდგებოდა მეორე სახე.

ამ გვარად სულიერ არსებათა განვითარების ისტორია წარმოადგენს ერთ დაუსრულებელ გარდასხვაფერებას ერთის სახისას მეორე სახედ.

იმ ძალთა შორის, რომელთა შემწეობითაც ეს განვითარება მოხდა თვალ-საჩინო და უმთავრესი ადგილი უჭირავს მემკვიდრეობის ძალას.

მემკვიდრეობა, პსიხოლოგიის ენით რომ ვსთქვათ, როგორც ამბობს გამოჩენილი ინგლისელთ ბუნების-მეტყველი ჰეკელი, გამოიხატვის ყოველ სულიერ არსების ფიზიკურ და სულიერ თვისებათა მეხსიერება—დახსომებით.

რუსთა მწერალი პოდვისოცკი ამბობს, რომ მემკვიდრეობა შეადგენს ყოველ სულიერ არსების ბედის წერის თვისებას; თუმცა ეს თვისება ძველის მოყვარულია კონსერვატებური და მის მეოხებით მამის თვისება შვილში ჰპოვებს ბინას, მაგრამ უამისოდ განვითარება ბუნებაში შეუძლებელი შეიქმნებოდა და ეს განვითარება წინსვლაა პროგრესსია.

მართლაც, მემკვიდრეობის ძალით შეგვიძლიან ვპოვოთ და აღვადგინოთ ის სალარო მამა-პაპათა სულისა და ხორცის თვისების კრებულისა, რომელსაც ვხედავთ ყოველ ახალ თაობაში. თუ ევროპიელი ყმაწვილი დაბადებისათანავე განირჩევა ამერიკელ ინდიელ ყმაწვილისაგან, როგორც გარეგნობით, აგრეთვე იმ სულიერის განძით, რომელიც დაბადებიდგანვე დაჰყოლია და რომელიც მხოლოდ განვითარებას თხოულობს, ეს განსაკუთრებით მემკვიდრეობის მეოხებაა.

თუ ყოველი შთამომავალი კოპიო არ არის თავის წინაპარისა, იმიტომ რომ მემკვიდრეობა უთმობს დიდ ადგილს მეორე დიდს კანონს „გამოცვლილობას“ კანონს ცვალებადობითს, რომლის ძალითაც ახალს შთამომავალს, თუმცა წინაპარის თვისებანი დაჰყოლია, შეუძლიან მაინც მათი შეცვლა და ახალ თვისებათა შეძენა.

მემკვიდრეობის კანონები:

1) პირდაპირი მემკვიდრეობა, როდესაც დედ-მამა თანასწორად გარდასცემენ თავის უმთავრეს თვისებათა შთამომავალთ. ამ გვარი მემკვიდრეობა უფრო იშვიათია.

2) მემკვიდრეობა უპირატესობისა, როდესაც მამა გადასცემს თავის თვისებათა ვაჟს, და დედა-ქალს; ან მამა-ქალს და დედა-ვაჟს.

3) მემკვიდრეობა, რომლის ძალი-

დამაკვირდი

ადამიანისათვის ადამიანი უფრო სასურველია, ვიდრე ანგელოზი.

ლესსინგი

**

ტკბილსა პატრონი უდგა მცველად მწარეს—მისივე სიმწარე.

ნაწყვეტები

თუ დიაცს ლანჩრად ეჩვენე—
დაგიწყობს ბატონობასა,
ჩალადაც აღარ ჩაგაგდებს,
მოჰყვება კაპასობასა:
თავზე პანტასებ დაგაყრის
დღე და ღამ კიცხვა-გმობასა,
სულ დაგავიწყებს ერთიან
აღდგომასა და შობასა.

კორესპონდენცია

ა. **სოხუმი.** ამას წინად გწერდით, ქალაქის დეპუტატად არჩეული ა-ვი თექმეჩოვი არ დაამტკიცა საგუბერნიო სამმართველომ-მეთ-ქი. ხელახლა იქმნენ მოწვეულნი ქალაქის მცხოვრებნი დეპუტატების ასარჩევად და დაასახელეს შემდეგნი: აპ. ან. თექმეჩოვი, პ. ვაფიადი, მალანია, თ. მ. გაბუნია, პ. კეთილაძე და ხ. აზვესტოპულო. სულ იყო 143 კენჭოსანი. ყველაზე მეტი კენჭი ხვდა თექმეჩოვს. თეთრი 130, შავი 13, აზვესტოპულოს 127 თეთრი, შავი 16, კეთილაძეს 113 თეთრი, შავი 30, ვაფიადს 95 თეთრი, შავი 48, გაბუნიას 94 თეთრი, შავი 49, მალიანის 51 თეთრი, შავი 92.

ახლა ეჭვი არ არის, გუბერნიის სამმართველო ქალაქის არჩევანებს დაამტკიცებს; ამით ქალაქს ბევრი არაფერი შეეძინება, რადგანაც გამოცდილებით ვიცით, რომ ეს დეპუტატები არიან მხოლოდ იმის მოწმენი, რომ ქალაქის ფული იხარჯება. ხოლო სად და როგორ, ეს არც-კი იციან და არც ეკითხება ვინმე იმათ. მიტომაც არის, რომ ჩვენს ქალაქს, რომელსაც ყოველ გვარი შემოსავალი 30,000 მანათამდის აქვს, არავითარი წარმატება არ ეტყობა. ასე გასინჯეთ, ქალაქის არჩევანებს, თითქმის ერთი ინტელიგენტი არ ესწრება, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეს დეპუტატთა არჩევანი თამაშობაა, დღეს ერთს აირჩევენ და დასმენ დეპუტატად, ხვალ—მეორეს და არა გამოდისრა-კი. ჩვენ, სოხუმელები, დიდის გულის ძგერით მოველოდებით ახალ სამოქალაქო დებულების შემოღებას, მაგრამ, ცოტა გული შეგვიშინდა, გაზეთში რომ წავიკითხეთ სხვა ქალაქების შესახებ და ჩვენის ქალაქის შესახებ-კი არაფერი ეწერა.

აფხაზეთი განთქმული იყო მეფუტკრობით და კარგადაც ხეირობდა ფუტკარი აქ, რადგანაც აქ სხვა-და-სხვა ყვავილები ბლომადაა, მაგრამ ამ ბოლოს დროს აქაური თაფლი გაფუჭდა, რადგანაც თამბაქოს პლანტაციები გამრავლდა, თაფლი სულ თამბაქოს გემოსია და ამიტომ აქაურს თაფლს მუშტარი ძრიელ უფრთხის ახლა.

ბორჯი-პრომისლი. 12 თებერვალი. წელს აქეთ ისეთი ყინვა სიცივეები იყო, რომ თითქმის მომსწრე არ-ვინ არის. ნათლის ღების შემდეგ ყინვა სიცივემ უფრო უმატა, ასე რომ მტკვარი მთლად გაჰყინა, რაიცა ძრიელ იშვიათია აქეთ. მართალია, წინადაც გაყინულა მტკვარი—მაგ. 1889 წელს, მაგრამ მხოლოდ სრულიად-კი არა, როგორც წელს, ზოგიერთ ადგილებში. დ. სალიანში ყინულის გამო ბორანი ვეღარ მუშაობდა. გასვლა-გამოსვლა ერთის ნაპირიდგან მეორეზედ, თითქმის შეუძლებელი გახდა, ლენქორანისაკენ მიმავალი მგზავრი, ან იქიდგან მიმავალი აჯიქაბულისაკენ, იძულებულნი იყვნენ გაჩერებულიყვნენ სალიანში რამდენისამე დღით.

თევზის ჭერაც რასაკვირველია შეუძლებელი გახდა, ზოგიერთებმა სცადეს ყინულის ჩატეხა, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ—ბადეები დაჰყინა. ასე გასტანა რამდენიმე დღე, შემდეგ-კი, როგორც იყო დაიძრა ყინული, და გაიხსნა მტკვარი,

ამ ყინვების დროს ბევრმა დიდი გაჭირვება გამოიარა ზღვაში. ბევრი მიემწყვდა ნავებით დეიზილ აღაჩისყურეში, რომლის ნაპირებიც ძრიელ გაჰყინა და იძულებული იყვნენ რამდენიმე დღე გაჩერებულიყვნენ ერთ ალაგას ყინვა-სიცივეში.

თოვლიც ბლომად მოვიდა, თუმც დიდხანს-კი არ გაუძლია.—ლენქორანის მაზრაში-კი თითქმის ნახევარ არშინამდე დასდო თოვლი. ამისთანა ყინვა-სიცივეში გახურებული ბუხარია კაცის მხსნელი, მაგრამ რით გაახურებ ბუხარს, რომ შეშის შოვნა არსად არის და, თუ იშოვება, ისიც მამასისხლად. შეშას ხმარობს მხოლოდ შეძლებული ხალხი, მაგრამ წელს იმათთვინაც გაძნელდა შოვნა შეშისა. შეშა მოაქვთ ხოლმე ლენქორანიდგან—წელს იქაც არ იყო, რაღაც მიზეზის გამო და, თუ იყო, ძრიელ ძვირად ფასობდა—ასე რომ ზოგიერთებმა ამჯობინეს აშტრახნიდგან დაბარება ვიდრე ლენქორანიდგან მოტანა; შეუძლებელი ხალხი ხომ დიდ გაჭირვებაში იქნებოდა, ამას თქმა არ უნდა.

აქ ყივანა ხველაა გავრცელებული; მშვიდობით ხდილობენ ჯერ, ღვთის მადლით, ზარალი არა უქნია რა.

—

დაბა სალიანს თანდათან ბედი უღიმის. ჯევითას მაზრის ყველა დაწესებულებანი აქ იყო მოთავსებული, აკლდა მხოლოდ ხაზინა და ისიც იანვრის 9-ს გაჰმართეს; მალე ცალკე ნოტარიუსიც იქნება დანიშნული. ეხლა მაზრას ქალაქის სახელის მეტი აღარა აკლია-რა; ამაზედაც მიწერ-მოწერაა გამართული და იმედიცა აქვთ, რომ სალიანი იქნება დამტკიცებული მაზრის ქალაქად და მაშინ მაზრასაც სახელი შეეცვლება.

—

მარტის მიწურულებში, 26—27—28—დანიშნულია მტკვარზედ თევზის ვატაგების იჯარით გაცემის ვაჭრობა; მუშა ხალხი სულ-განაბული მოელის ამ ვაჭრობას, რადგან არ იცის, ვის ხელში ჩაჰყრის ბედი. საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ დროს მოსამსახურეთა მდგომარეობა ძალიან შეიცვალა—გაუარესდა. მიზეზი, რასაკვირველია, გახლავთ ისა, რომ მოიჯარადრენი ზარალში არიან. ამ სამის წლის განმავლობაში (1891—1894) ვგონებ გარდა ი. ე. ფითოევების ამხანაგობისა, ყველამ იზარალა; წრევანდელ ვაჭრობაზედ ძალიან ცოტანი იქნებიან მოვაჭრენი და არც არას მიუმატებენ, გარდა ბანკის ვატაგისა (503000 მანეთია). არც ერთს არ აიღებენ, თუ ფასები არ დასწიეს, არ დაუკლეს.

—

იანვრის ნახევრებში ნორდოსტიდგან (ზღვის ნაპირია) წავიდნენ ზიუდოსტოვ კულტუკში ნავით 7 კაცი; გზაზედ ქარი ამოუვარდათ და სათლაც გაიტაცა ნავი ამ 7 კაცით—დღემდე არავინ იცის, დაიღუპნენ, თუ რა იქნენ. საკვირველი ისაა, რომ ნავიც არსადა სჩანს, ის მაინც უნდა გამოეგდო სადმე ნაპირზედ, თუ სპარსეთისაკენ არ გაიტაცა. ამ ერთის თვის წინად გადაბრუნდა ლენქორანიდგან მომავალი კურინსკის კოსაზედ ნავი და დაირჩო ზღვაში შვიდი სული.

XXX

ძველს მეგობარს

ნეტა რას სტირი, ძმაოვ,
რად მისცემიხარ ჭმუნვასა,
რად ეგრე რიგად ემდური
ამ წუთი-სოფლის ბრუნვასა?

—

შენს ამხანაგთან მაგ ტანჯვას
გულ-წრფელად ხომ აღიარებ,
სვე-ბედისაგან შემთხვეულს
მას მაინც გაუზიარებ.

—

მე-კი... მე რა ვქნა ბედკრულმა,
რომ ვერ ვაუბნებ ენასა,
ვერც ვისმეს გავუზიარებ
ამ ცხარე ცრემლის დენასა.

—

სიყრმიდგან ჭმუნვა, ვარამი,
ამ გულს გროვილი რაც არი,
ხალხი ჩამქოლავს ბეჩავსა,
თუ ვსთქვი და ენა დავმარი...

—

მაღლით შემრისხვენ და სოფელს
თვალით ვერ დავენახვები,
ცრემლს ვერ მაღირსებს თვის-ტომი
უცხოსგან დავიმარხები.

—

ისიც-კი, ვისგან ვტანჯულვარ,
ვისთვის ვღვრი ცრემლსა მწარესა,
ვერ დამიტირებს მისთვის მკვდარს,
ვერც ნახავს ჩემს სამარესა...

—

ტყუილად რად ჰგმობ საწუთროს
წაღმა-უკუღმა ტრიალსა?!.
ჩემებრ ხომ მაინც არ გასმევს
ნაღვლით აღვსებულს ფიალსა.

განდეგილი

საისტორიო მასალა

წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში.

როდის მოვიდა ნინო საქართველოში?

ამ საკითხის გადასაწყვეტად არა ერთი წერილი იყო წარსულს წელს „ივერიაში“, არა ერთი და ორი მოსაზრება წარუძღვანებიათ წინ ჩვენს ისტორიკოსებს და დასაბუთებით-კი არავის დაუსაბუთებია და ისევე აუხსნელად რჩება. ბატონიშვილი თეიმურაზი უჩვენებს 317 წელს, თუ არა ვსცდები; ბროსე-კი 327 წ. პატივცემული ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე იხსენიებს თავის ისტორიაში, რომ მირიანის დროს შემოდის მცხეთაში კაპადოკიით წმინდა ნინო... მირიანი ჰმეფობდა (265—342 წწლ. იხ. მისი ისტორია 1889 წ. 139 გვერდ.) ჩვენი ისტორიკოსებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ნინო 323 წელზედ ადრე და 327 წელზედ გვიან არ უნდა შემოსულიყოს. ახლად ნაპოვნი მე-X საუკუნის ნინოს ცხოვრება 332 წ. ბ-ნს ჟორდანიას-კი 323 წ. მოქცევა მირიანისა. (გვერ. 30 ქრონიკ). მამა კალისტრატე ცინცაძემაც დასაბუთებით გამოიანგარიშა არა ადრე 318 წლისა, თუ არა ვსცდებით.

ამ დღეებში მომივიდა მამა გრიგოლ გრიგორიევისაგან (დიღომში მღვდელობს) რამდენიმე ფურცელი ძველის ხელთ-ნაწერებისა და აი იმათში რა აღმოჩნდა:

„ქასრეს ეწოდების საბურ. ამან ქარსე შეიპყრა ვალერიანე კეისარი, არამედ მუნ ქარსეს სახელი საბურ წერილ არს..., ხოლო გამეფდა მირვან, რომელსა ეწოდების მირიან, დასაბამითი წსიდ (4214 წ.) ბერძნულსა ჰქოგ (5773 წ.), ქრისტეს აქეთ სჲე (265 წ.), ქართულს იზ...

ც დედ-მამის თვისებანი შვილს ყოველთვის ერთს რომელსამე ჰასაკში აღმოაჩნდება.

4) უკუმოქცევითი მემკვიდრეობა, როდესაც მამის თვისებანი შვილზედ არ გადადის, არამედ შვილი-შვილზედ, ასე რომ შვილი-შვილი უნდება პაპის თვისებებს.

ბიოგრაფიები გამოჩენილ მოღვაწეთა და მეცნიერთა აშკარად გვიმტკიცებს, რომ ყოველ გვარი ზემოხსენებული მემკვიდრეობა ჰმოქმედობს ლოგიაში. თუმცა, როგორც ინგლისელი მეცნიერი უელლესი ამბობს, მთელ დედამიწაზედ ორ იმისთანა ადამიანს ვერ ვპოვებთ, რომ სრულიად და სავსებით მგზავსებოდეს ერთი მეორეს, მაგრამ დედ-მამასა და შვილს შორის დიდი მიმგზავსებაა მაინც. ჩვენში იტყვიან ხოლმე ხშირად: ეს ბავში ზედ-გამოჭრილი, ზედ-წავარდნილი დედაა ან მამაა. [illegible] ჩემმა შემდეგი შესანიშნავი შემთხვევა მიამბოვო, ამბობს დარვინი: ერთი ჩემი კარგი ნაცნობი გარდაიცვალა [illegible], როდესაც მისი შვილი სულ [illegible] იყოვო. დიდმა ხანმა გაიარა, [illegible] მე მისი შვილი არ მენახა; ბოლოს, როცა ვნახე, სრულებით მისი მამა წარმომიდგა, როგორც სახით, ისე მიხვრა-მოხვრითაო.

რაც უნდა დაკვირვებას მოკლებული იყოს კაცი, გარეგანს მგზავსებას მაინც შეამჩნევს. ისტორიაში აღნიშნულია ბურბონების (საფრანგეთის სამეფო საგვარეულო იყო) ცხვირი და ჰაბსბურგების (ავსტრიის სამეფო გვარეულობაა) ტუჩები. პატარა ტანის დედ-მამას მუდამ პატარავე ტანის შვილები ეყოლებათ. ეს კანონი კარგად იციან პირუტყვთა მომშენებლებმა. ესევე კანონი უნდოდა გამოეყენებინა პრუსიის მეფეს ფრიდრიხ-ვილჰელმს I, ფრიდრიხ დიდის მამას: ამ მეფეს გაგიჟებით უყვარდა ახოვანის ტანის მხედარნი და რომ ამ ახოვან მხედართ მაღალის ტანისავე შვილები მისცემოდათ, ჰრთავდა მაღალ ტანის ქალებს ცოლებად.

მემკვიდრეობას აქვს გავლენა თავისა, ტანისა, თმისა, ფრჩხილებისა და სხვა ორგანოების მოყვანილობაზედაც. ნამეტანი სისუქნე ტანისა უფრო მემკვიდრეობაზედ არის დამოკიდებული და თავის ვადაზედ თავს იჩენს სიღარიბისა და ხელმოკლეობის მიუხედავად.

მემკვიდრეობას აქვს დიდი გავლენა ნერვების სისტემაზედა და ტვინის მოყვანილობასა და სიდიდეზედ. ამ უკანასკნელ გარემოებაზედ არის დამოკიდებული სულიერ თვისებათა და ნიჭის მემკვიდრეობა. მრავალი ბიოგრაფიები მეცნიერთა, პოეტებისა, მხატვართა აშკარად გვიმტკიცებს, რომ სხვა-და-სხვა გვარი ნიჭი ხშირად გადადის მემკვიდრეობით. ყოფილან და არიან მრავალნი ოჯახნი, რომლებშიაც უფროს ერთი წევრი პოეტი, მეცნიერი ან სხვა რომელიმე ნიჭიერი მოღვაწე ყოფილა. მაგალითად, გამოჩენილ კომპოზიტორ ბახის გვარში 8 თაობა მუსიკის მიმდევარი იყო; მათ შორის 57 წევრმა დიდი სახელიც მოიხვეჭა.

მხატვრებში გამოჩენილი გვარები იყო: მურილლიოსი, კორრეჯიოსი, ვორონეზისა...

პოეტებში: ესხილის გვარი, რომლის ორი შვილი და ძმისწული გამოჩენილი პოეტები იყვნენ; არისტოსი—ძმა და ძმისწული, სოფოკლისა, რასინისა; ჩვენში:—გვარი თთ. ჭავჭავაძეთა. შენიშნულია, რომ როცა გენიოსობა მემკვიდრეობით გადადის, თითოეულს თაობაში ნელ-ნელა სუსტდება, ხოლო როცა სულით, ავადმყოფობა ჰყვებათ დაბადებით, თითოეულს თაობაში უფრო და უფრო ძლიერდება.

ამ კანონზედ არის, სხვათა შორის-დამოკიდებული ხანგრძლივი და-ხან, მოკლე ცხოვრება. არიან იმისთანა გვარები, რომელთა წევრნი ან დიდ-ხანსს ცოცხლობენ, ან ძლიერ ადრე იხოცებიან. ინგლისში ცნობილია შემდეგი ამბავი სიკვდილის დამზღვეველ საზოგადოებათა: როცა რომელსამე კაცს უნდა დაზღვევა, საზოგადოების მართველობა ჰგზავნის აგენტს, რომელმაც უნდა შეიტყოს, მის საგვარეულოში ხანგრძლივობაა, თუ ხანმოკლეობა სიცოცხლისა. ხოლო არიან იმისთანა გვარნი, რომელთა წევრნი მალე ბერდებიან, თმა ადრე უთეთრდებათ, გონებრივი ძალა ადრე ეხშობათ და ადრე იხოცებიან. საფრანგეთის გამოჩენილ მინისტრის ტიურგოს გვარში სიკვდილი 50 წელს ზევით აღარ დაახანებდა; და როცა ტიურგომ მიაღწია ამ ხანს, თუმცა კარგად ჰგრძნობდა თავს, დაიწყო ანგარიშის გაწმენდა თავის საქმეებში და სიკვდილის მოლოდინს მიეცა და მართლაც, არ გაუვლია დიდ ხანს, რომ გარდაიცვალა.

მემკვიდრეობით გადადის ხშირად ყოველ გვარი სიმახინჯე, მემკვიდრეობით გადადის ხშირად ექვსი თითი ხელზედ და ფეხზედ, კბილების მეტ-ნაკლებობა, სიკოჭლე და სხვა. ანტროპოლოგი კატრფაჟი ესკიმოსების შესახებ შემდეგს ამბავს გვიამბობს: ესკიმოსები მოსჭრიან ხოლმე თავის ძაღლებს კუდს და ხშირად მათი ლეკვები უკუდო იბადებიან. მაგრამ, ჩვენდა სანუგეშოდ სიმახინჯის მემკვიდრეობა უფრო იშვიათია.

ერთის სიტყვით ბიოლოგიასა და მედიცინაში მემკვიდრეობა აუცილებელი, გარდუვალი კანონია. ერთი შენიშვნა უნდა კიდევ: ზოგიერთ შემთხვევებში ეს კანონი იჩენს დიდ ძალას და გავლენას და ზოგიერთი-კი უფრო მეტს სისუსტეს. ახსნა ამ გამოცანისა ჯერჯერობით შეუძლებელია.

გ. ბადრიძე

ქ. მოსკოვი.

„ხოლო ჟამსა ამას მოვიდა წმ. ნინო მცხეთას ქადაგებდა და ხარებად ქრისტეს სახარებისა წელსა დასაბამით წსჲგ (4,263 წ.), ბერძნულსა ჰყკბ (5822 წ.) ქრისტეს აქეთ ტიდ (314 წ.), ქართულსა ჲვ, აგვისტოს მეხუთესა დღესა:“ და მერმე იწყება „რამეთუ რაჟამს დიდი მთავარ-მოწამე გიორგი იწამა ქრისტესთვის კაბადუკიას, რამეთუ იყო კაცი კაბადუკიას ნათესავი წმ. გიორგისა მთავარი მონა ღ-ისა ზაბილონ...“ მე—43 ფურცელზედ იწყება «ქარ (გადმოტანილია, იქნება იყოს „ბაქარ“?) მძევლად და ჰზავ ჰყო. მაშინ კონსტანტინემ ამძახლა მირიან მეფე ქართლისა და ტირდატ მეფე სომხითისა. და მისცა ტირდატ ასული თვისი სალომე ძესა მირიანისასა რევს. და უჩინა მათ საზღვრად მთაჲრომელსა მისდის იმიერ მდინარენი და მიერთვიან არეზს ესენი ტირტატის კერძოდ ჰყვნა. და ამიერ მრთუჰლნი მტურისანი მირიანის კერძოდ, და დააზავნა და წარვიდა. მაშინ უკუი მისულა-რა მირიანისასა ჯმა მღლად ჰქადაგებდა წმიდა ნინა ქრისტესა და ჰყოფდა ჯვარითა მითა მით ნასხლევითა სასწაულთა მრავალთა, და მისთანა სიდონია და ექვსნი იგი მოწაფენი მისნი და აბიათარ დაუცხრომელად ჰქადაგებდეს ქრისტეს“. „სასწაულნი ნინოს მიერ ქმნილნი“, „განკურნა დედოფალი ნანა“, „განკურნება ნინოს მიერ ხორასნელისა მთავრისა“ და მერმე „მირიანის მოქცევა ქ-ის (ქრისტეს) მიმართ წელსა ქრისტეს აქეთ 317 წ., ქართულ 69 წ. იუნისის 20 დღესა შაბათსა.“

იმედია რომ ჩვენი ისტორიკოსნი გულმოდგინედ შეუდგებიან ძიებად წელიწადისა და რიცხვისა ნინოს მოსვლისას. ვსთხოვ ვისაც-კი მოეპოება წმ. ნინოს ცხოვრება და საჳედრებელი, მომაწოდონ რედაქციის საშუალებით და მიიღებენ უნაკლულოდ დედანსვე.

მღ. ვასილ კარბელაშვილი

მცნება ქრისტესი

წმიდა იოანე ღვთისმეტყველი, როდესაც ღრმად მოხუცდა და აღარ ძალ-ედვა საქადაგებლოდ სიარული, უბრძანებდა თავის მოწაფეთა, კრებაში ხელით წამიღეთო. მოციქული მოვალეობად სთვლიდა თავის უკანასკნელ დღემდი ესწავლებინა და ემოძღვრნა ქრისტიანეთათვის. შემდეგ მოხუცებულობისაგან ლაპარაკიც გაუჭირდა და ამბობდა მხოლოდ ორს სიტყვას: „შვილნო ჩემნო, ვიყვარებოდეთ ურთი ერთ არს!“ მოწაფეებს დიდათ უკვირდათ, რომ იგი ყოველთვის ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა და ჰკითხეს რად ჰნებულობთ ამასაო?—იმიტომო, უპასუხა იოანემ, რომ მთელი მცნება მაცხოვარისა ამ ორის სიტყვით გამოიხატებაო.

გასართობი

გეინორი, განთქმული თავისის მოსწრებულის სიტყვითა და ხუმრობით, ერთს პარასკევს დღეს დაპატიჟებული იყო სადილად თავის მეგობართან. რადგან მარხვა დღე იყო, თევზეულობა ჰქონდათ მომზადებული სადილისათვის. გეინორს განსაკუთრებით უყვარდა ვირ-თევზა და საითაც ეს თევზი იდგა, იქით მიიწია, მაგრამ მაშინვე სუნით შეატყო, რომ თევზი ძველი იყო. ადგა და ჯერ ტუჩები მიადო ამ თევზს და მერე ყური დაადო, თითქო ელაპარაკება რასმეო. დიასახლისმა ჰკითხა:

— რას სჩადიხართო.

გეინორმა უპასუხა:

— არაფერს, ქალბატონო, მე მხოლოდ ამ თევზს ჩემის მეგობარის კაპიტან მორფის ამბავი ვკითხე, რომელიც წარსულ ორშაბათს დაირჩო ზღვაში, მაგრამ ეს მეუბნება, რომ არა ვიცი-რა იმისი, რადგან ამ სამის კვირის წინად ამომიყვანეს ზღვიდგანაო.

**

მხატვრობის ერთი მოყვარულთაგანი პუსსენის დახატულ სურათს „შვიდი საიდუმლო“ ჰსინჯავდა და რამდენიმე შეცდომა შენიშნა ამ ქორწინების სურათს.

— მე აშკარადა ვხედავ, სთქვა იმან, რომ კარგი ცოლ-ქმრობა მხატვრობაშიაც-კი ძნელიაო.

**

ვოლტერმა მწერალ მარივოს შესახებ სთქვა: „ამ კაცმა ყოველი ბილიკი იცის კაცის გულისა, მაგრამ დიდის შარა გზისათვის-კი ვერ მიუგნიაო“.

გამოსადეგი ცნობა

ოქროთი დაფერილ ნივთების გაწმენდა. დაოქროვებული ლითონი თუ ხშირად შავდება, შავი ლაქები უჩნდება, რომლის ამოყვანაც ძალიან ძნელია. საუკეთესო საშუალება ამის წინააღმდეგ შემდეგია: რამდენიც წყალი ჩაასხათ ჭურჭელში, 5—6 იმისი ნაწილი შაბი ჩაჭყარეთ და ადუღეთ. როცა წყალი ადუღდეს, რაც გასაწმენდი ნივთი გაქვთ, რამდენისამე წამით ჩასდეთ ამ წყალში, მერე ამოიღეთ და გააშრეთ. თუ ნივთი ისეთია, რომ წყალში ვერ ჩასდებთ, ფრთა დაასველეთ და რამდენჯერმე გასწმინდეთ, მერე გააშრეთ. რაც ჭუჭყი ექმნება ნივთს, სულ გადაუვა და ახალს დაემსგავსება.

დეპეშა

15 თებერვალი

პეტერბურგი. სამხედრო საბჭოს წევრს, ინფანტერიის გენერალს დანდევილლის ებოძა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრლიანტის ნიშნები.

ბერლინი. რეიხსტაგში გრაფ მირბახმა განაცხადა: რუსეთთან დადებული ხელშეკრულობა შესძრავს სახელმწიფოს საპოლიტიკო საძირკველს, გაალარიბებს სოფლის მცხოვრებელსა, მებატონეებსა და მუშა ხალხს; რუსეთი გერმანიის მრეწველობას სულ მცირე შეღავათს აძლევს; მთავრობა იბრძვის ქვეყნის კეთილდღეობის წინააღმდეგ და სოციალ-დემოკრატები და თავისუფალნი მოაზრენიც ზურგს უჭერენ, მირბახს პასუხი გასცა მარშალმა: რუსეთიო, სთქვა მინისტერმა: ახალს გზას დაადგა, გზას, ერთ გვარად სასარგებლოს ორისავე დიდის სახელმწიფოსათვის; ძველი წეს-წყობილება ასატანად შეუძლებელია; 20 წლის განმავლობაში რუსეთმა ხუთჯერ მოუმატა ბაჟს და ამის შედეგად ის მოჰყვა, რომ 120 საპალნე საბუთის ქაღალდები მოგროვდა, რომლებშიაც აღნიშნული იყო ზარალი გერმანიის მრეწველობისა. რუსეთის მიერ დადებული ბაჟები ეხლაც საკმაოდ დიდია, მაგრამ უწინდელზედ მაინც მცირეა და უმთავრესად-კი ის სიკეთე სჭირს, რომ სამუდამოა და ათის წლით არის დადგენილი. ძნელად თუ წინ წასწიოს მთავრობამ ქვეყნის კეთილდღეობა, თუ მარტო მიწად-მომქმედთათვის იზრუნა“

ლონდონი. 16 თებერვალს გაძლიერდა ხმა იმის შესახებ ვითომ გლადსტონი თავს ანებებდეს სამსახურს მოხუცებულობის გამო. ამბობენ რომ მთავარ მინისტრად იქნება ლორდი როზბერი. როდესაც რეიტერის საააგენტო დაეკითხა ამ საგანზე გლადსტონს, მინისტრმა უპასუხა, რომ ეს ხმა პატივსადები არ არისო.

პეტერბურგის ბირჟა, 15 თებერ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7,_{52}$	$7,_{56}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$150^{1}/_{4}$	$151^{1}/_{4}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	244
—მეორისა		— ,,	228
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	$193^{1}/_{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	101	— ,,	— ,,
5%	$98^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	$100^{3}/_{8}$	— ,,	— ,,
5%.	$48^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$98^{1}/_{4}$	— ,,	— ,,

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროტკასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^{1}/_{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРIА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, სრული პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^{1}/_{2}$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

გაფრთხილება.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:

ყვავილების ო-დე-კოლონისა,
გლიცერინის საპონისა სახეებით,
გლიცერინის პუდრისა,
ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,
საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

БиКа БиКа
БРОКАРЪ и Ко
ВЪ МОСКВѢ.
ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ.
1864 г. 1864 г.

ბროკარი და კº.

(8—6)

ახლად შემდგარი
კახეთის
ვენახების პატრონთა ამხანაგობა.

დაარსებულია იმ აზრით, რომ ადგილობრივ და შიდა რუსეთის რებში გაიტანოს ნამდვილი კახური ღვინო ამ ამხანაგობის წევრთა ვ ხებისა. ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო ამა წლის 5 თებერვლიდგან.

ნარდად და წვრილ-წვრილად გაიყიდება ტფილისს, ამ საზოგა ბის საწყობ სარდაფებსა და მაღაზიებში; 1) მიხაილოვის ქუჩაზედ, სლ ცკის სახლში № 81; 2) ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლაში

(10—8)

Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Февраля 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე